

## სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა და შეცდომების გასწორება საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში

### შესავალი

დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (საქსტატში) სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის/დაზუსტების პოლიტიკას. მასში აღწერილია გადასინჯვის საჭიროება, მისი გამომწვევი მიზეზები, გადასინჯვის ტიპები და პრინციპები და შესაბამისი ტერმინოლოგია. მოცემულია ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები, რაც წარმოადგენს ცალკეული სტატისტიკური პროდუქტებისთვის გადასინჯვის პოლიტიკის განსაზღვრის საფუძველს. დოკუმენტში აგრეთვე აღწერილია საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციაში შეცდომების აღმოჩენის, თავმოყრის, ანალიზის, გასწორებისა და შეტყობინების გავრცელების პროცესები.

### 1. სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვა

#### 1.2. გადასინჯვის არსი

გადასინჯვა ეწოდება უკვე გამოქვეყნებულ და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ სტატისტიკურ მონაცემებში ნებისმიერი სახის ცვლილებას. გადასინჯვა შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგ შემთხვევებში:

- ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაციის ახალი წყარო, დამატებითი მონაცემები (ყოველთვიური, კვარტალური ან წლიური);
- ზუსტდება ზოგიერთი ძველი მონაცემი;
- იცვლება მეთოდოლოგია;
- იცვლება მიმდინარე მონაცემები, მაგალითად, წინასწარი მონაცემების დაზუსტებისას.

როგორც წესი, გადასინჯვა/დაზუსტება ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა ახალი ან/და გაუმჯობესებული ინფორმაციის ასახვა.

#### 1.3 გადასინჯვის მიზანი და საჭიროება

მონაცემთა გადასინჯვა საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაა. მისი მიზანია სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება. სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი მოიცავს რამდენიმე კრიტერიუმს, რომელთა შორის ძირითადია სიზუსტე და დროულობა. მომხმარებელთა საჭიროებებთან შესაბამისობის და თანხვედრის უზრუნველსაყოფად ორივე კრიტერიუმი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მონაცემთა გადასინჯვის/დაზუსტების საჭიროება გამომდინარეობს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვალდებულებიდან, აწარმოოს მაღალი ხარისხის, უახლეს ინფორმაციაზე დაფუძნებული დროული სტატისტიკა.

გადასინჯვის პოლიტიკა ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს. ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის (European Statistics Code of Practice) მე-6, მე-8 და მე-12 პრინციპები განსაზღვრავს გადასინჯვის პოლიტიკას:

- პრინციპი 6, მაჩვენებელი 6.6 – „ინფორმაცია მნიშვნელოვანი გადასინჯვებისა თუ მეთოდოლოგიებში ცვლილებების შესახებ ცხადდება წინასწარ“.
- პრინციპი 8, მაჩვენებელი 8.5 – „გადასინჯვა ეფუძნება სტანდარტულ, დამკვიდრებულ და გამჭვირვალე პროცედურებს“.
- პრინციპი 12, მაჩვენებელი 12.3 – „პირველადი მონაცემების, სტატისტიკური პროცესებისა და მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ხორციელდება გადასინჯვების ანალიზი“.

მონაცემთა დაზუსტების, აგრეთვე მეთოდოლოგიური ცვლილებების შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აღნიშნულის შესახებ დროულად აცნობოს საზოგადოებას და განუმარტოს მიზეზები, რათა დაარწმუნოს მომხმარებლები ცვლილებების აუცილებლობაში. გადასინჯვის პოლიტიკის არსებობა სტატისტიკის სამსახურში კარგი მმართველობის მნიშვნელოვანი ასპექტია.

#### 1.4 შესაძლო გამოწვევი მიზეზები:

- შეფასების გზით მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დაზუსტება – მიმდინარე/ოპერატიული სტატისტიკის დროული წარმოება მოითხოვს ზოგიერთი მონაცემის (რომელიც ხელმისაწვდომი არ არის გამოქვეყნების თარიღისთვის) შეფასების გზით გაანგარიშებას. ვინაიდან შეფასებითი მონაცემები, როგორც წესი, ზუსტად არ ემთხვევა მოგვიანებით მოწოდებულ დაზუსტებულ ინფორმაციას, საჭირო ხდება წინასწარი სტატისტიკის გადასინჯვა და ახალი მონაცემების საფუძველზე მისი დაზუსტება.
- ნაკლები სიხშირის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მოგვიანებით ხდება ცნობილი, მეტი სიხშირის მონაცემთა დაზუსტება, ე.წ. ბენჩმარკინგი (მაგალითად, წლიური მონაცემების საფუძველზე კვარტალური მონაცემების დაზუსტება).
- კლასიფიკატორებში განხორციელებული ცვლილებები გადასინჯვის კიდეც ერთი, თუმცა უფრო იშვიათი მიზეზია. ცვლილებები კლასიფიკატორში იწვევს ზოგიერთი ერთეულის ხელახალ განსაზღვრას, რის შედეგადაც ძველი და ახალი ერთეულები ერთმანეთისგან განსხვავდება და შეიძლება შედარებადიც არ იყოს.
- კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ცვლილებები (მაგალითად, ცვლილებები ცნებებში, განსაზღვრებებში, კლასიფიკატორებში და სხვ.), რომელიც იწვევს გადასინჯვის აუცილებლობას.
- საბაზო წლის შეცვლა, რომელიც შეწონვის ახალ სისტემასთან და შეფასების ახალ დიაპაზონთან ერთად ცვლის დროით მწკრივებს.
- ცვლილება მონაცემთა წყაროებში – ხელმისაწვდომი ხდება მონაცემების ახალი წყარო, რომელიც უფრო მეტად მიესადაგება არსებულ ცნებებს, შესაძლებელი ხდება გამოკვლევის ჩანაცვლება ადმინისტრაციული წყაროდან მონაცემების მიღებით, ახალი აღწერის შედეგებით და ა.შ.
- რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტება – მონაცემებში ცვლილება შესაძლებელია გამოწვეული იყოს რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტებით.

## 1.5. გეგმური და არაგეგმური გადასინჯვა

### 1.5.1. გეგმური გადასინჯვა

გეგმური გადასინჯვა მოიცავს რეგულარულ და ძირეულ გადასინჯვებს:

- რეგულარული გადასინჯვა ეწოდება ცვლილებებს გამოქვეყნებულ მონაცემებში, რომლებიც უკავშირდება მონაცემთა წარმოების სტანდარტულ პროცესს (მაგალითად, როდესაც შეფასებით მიღებული მონაცემები ჩანაცვლდება რესპონდენტების მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მონაცემებით ან გამოქვეყნებული მონაცემები წინასწარია, მონაცემთა შემდგომ გამოქვეყნებამდე ისინი გადასინჯება და განახლება დადგენილ ვადებში).
- ძირეული გადასინჯვა ეწოდება ცვლილებებს გამოქვეყნებულ მონაცემებში, რომელიც არსებითია და გამოწვეულია ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:
  - ხელმისაწვდომი გახდა ხანგრძლივი პერიოდის სტრუქტურული მონაცემები (როგორც წესი, ეს ვადა განისაზღვრება 5-10 წლით), როგორცაა მონაცემები მიღებული აღწერებიდან, სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯების გამოკვლევიდან და ა.შ.
  - შეიცვალა საბაზო წელი ინდექსებისთვის, რაც უმეტესწილად 5 წელიწადში ერთხელ ხდება.
  - ცვლილებები განხორციელდა მეთოდოლოგიაში (ცნებებში, განსაზღვრებებში და/ან კლასიფიკატორებში), როგორცაა ცვლილებები საერთაშორისო სტატისტიკურ სტანდარტებში, ახალი კლასიფიკატორის შემოღება და ა.შ.
  - ცვლილებები მოხდა საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში და/ან ძალაში შევიდა ახალი კანონი.
  - გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეცდომები.

ძირეული ცვლილებები გამოიყენება მეთოდოლოგიური ცვლილებების დროს. ასეთი პრაქტიკა საშუალებას იძლევა, თავიდან იქნას აცილებული მონაცემთა ხშირი გადასინჯვა. აქედან გამომდინარე, ძირეული გადასინჯვები განპირობებულია არა ერთი რომელიმე მიზეზით, არამედ მათი კომბინაციით.

### 1.5.2. არაგეგმური გადასინჯვა

არაგეგმური გადასინჯვები წინასწარ არ ცხადდება, რადგან ისინი გამოწვეულია გაუთვალისწინებელი შემთხვევებით, როგორცაა შეცდომები ან დამატებით გამოვლენილი გარემოებები.

## 1.6. გადასინჯვის პოლიტიკის პრინციპები

გადასინჯვის პოლიტიკაში გამოიყოფა შემდეგი პრინციპები:

- საქსტატი პასუხისმგებლობით ეკიდება მონაცემთა გადასინჯვის საკითხს და ხელმძღვანელობს წინამდებარე დოკუმენტით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის და ევროპის სტატისტიკური სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებს.
- გადასინჯვის პოლიტიკის დოკუმენტი ქვეყნდება საქსტატის ვებ-საიტზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის.
- გეგმური გადასინჯვის თარიღები ასახულია სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების კალენდარში, რომელიც ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე. ამასთანავე, მონაცემთა გეგმური გადასინჯვები განისაზღვრება სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამით.

- მომხმარებლები დროულად უნდა იყვნენ ინფორმირებული უკვე გამოქვეყნებულ მონაცემებში აღმოჩენილი შეცდომების/უზუსტობების შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებენ მონაცემთა არაგეგმურ გადასინჯვას. გადასინჯვის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს დროულად, ღია და გამჭვირვალე ფორმით. ასევე უნდა განიმარტოს არაგეგმური გადასინჯვის მიზეზები.
- როგორც გეგმური, ისე არაგეგმური გადასინჯვის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით.
- საქსტატი წინასწარ აცნობებს მომხმარებლებს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებების შესახებ, ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებამდე.
- საქსტატი, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რეგულარულად აწარმოებს გადასინჯვის შედეგების ანალიზს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტს.
- საქსტატი პერიოდულად იკვლევს მომხმარებელთა აზრს გადასინჯვის პრაქტიკისადმი მათი დამოკიდებულების გამოსავლენად.

## 1.7. გადასინჯვის ვადები

წინასწარი მონაცემების გადასინჯვა/დაზუსტება, აგრეთვე ძირეული ცვლილებები ხორციელდება კალენდრის შესაბამისად. განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც არღვევს მონაცემთა შესაბამისობას, გადასინჯვა/დაზუსტება ხდება დაუყოვნებლივ.

## 2. შეცდომების გასწორება გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციაში

### 2.1. შეცდომების გასწორების მიზანი

შეცდომები შეიძლება წარმოიშვას სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების ეტაპებზე. მცდარი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს, საჭიროებს შესწორებას და მის შესახებ დროულ შეტყობინებას. გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციაში შეცდომების გასწორების მიზანია მომხმარებლების უზრუნველყოფა ზუსტი და ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემებითა და ინფორმაციით.

ისევე, როგორც გადასინჯვის პოლიტიკა, შეცდომების გასწორება ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს. ევროპული სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის მე-6 პრინციპი განსაზღვრავს შეცდომების გასწორებას:

- პრინციპი 6, მაჩვენებელი 6.3 – „გამოქვეყნებულ სტატისტიკაში აღმოჩენილი შეცდომები სწორდება შესაძლებლად მოკლე ვადებში და ხდება საჯარო“.

### 2.2. შეცდომების კლასიფიკაცია

**შეცდომა** არის ნებისმიერი არასწორი სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება. ისინი იყოფა ორ კატეგორიად: არაარსებითი და არსებითი შეცდომა.

**არაარსებითი შეცდომა** წარმოადგენს შეცდომას, რომელიც არ იწვევს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის არასწორ ინტერპრეტაციას, მაგალითად:

- **უმნიშვნელო შეცდომა** (შეცდომა ტექსტის ბეჭდვაში, უმოქმედო ბმულები, არასწორი ფორმატირება და ა.შ.),
- **გრამატიკული შეცდომა** (თუ ის არ აფერხებს სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის სწორ ინტერპრეტაციას),
- **შეცდომა ტექსტში**: როდესაც შინაარსიდან ნათლად ჩანს, სად არის დაშვებული შეცდომა და რა უნდა ეწეროს მის ნაცვლად (თუ ერთი და იგივე სიტყვა/ტერმინი რამდენჯერმე სწორად არის დაწერილი და ერთხელ – არასწორად; მაგალითად, სათაურში მითითებული წელი ან საბაზო პერიოდი და სხვ.),
- **სისტემური შეცდომა**: შეცდომა გამოქვეყნების პროცესში, მაგალითად, გამოქვეყნების მცდარი თარიღი, შეცდომა ცხრილის ან გრაფიკის/დიაგრამის დიზაინში და მისთ.

**არსებითი შეცდომა** არის ცხრილებში, ტექსტსა და დიაგრამებში, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზებში დაშვებული შეცდომა, რომელიც ხელს უშლის სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის სწორ აღქმასა და ინტერპრეტაციას.

### 2.3. შეცდომების აღმოჩენა

შეცდომის აღმოჩენისთანავე, მის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება უწყების იერარქიული სტრუქტურის შესაბამისად ქვევიდან ზევით. პირველ რიგში, ხდება ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ქვედა რგოლის ხელმძღვანელის ინფორმირება. ის აფასებს დაშვებული შეცდომის ხარისხსა და მნიშვნელობას, რის საფუძველზეც ადგენს, შეცდომების რომელ კატეგორიას მიეკუთვნება მოცემული შემთხვევა. ვინაიდან შეცდომის კატეგორიიდან გამომდინარე მისი გასწორების შემდგომი ქმედებები განსხვავებულია, მნიშვნელოვანია კატეგორიის სწორად შერჩევა.

თუ შემთხვევა აღმოჩენილია საქსტატის ხელმძღვანელობის – აღმასრულებელი დირექტორის ან მისი რომელიმე მოადგილის – მიერ, ამის შესახებ ეცნობება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც 2.4. პუნქტის შესაბამისად იღებს საჭირო ზომებს შეცდომის გასწორების მიზნით.

### 2.4. შეცდომების გასწორების პროცედურები

**არაარსებითი შეცდომის შემთხვევაში** ქვედა რგოლის ხელმძღვანელი მისი აღმოჩენის ან ამის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს შეცდომის შესწორებას გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვებ-საიტზე და/ან მონაცემთა ბაზაში. თუ ანალოგიური შეცდომა ბეჭდურ ვერსიაშია დაშვებული, მისი გასწორება ხდება გამოქვეყნებული ინფორმაციის ელექტრონულ ანალოგში (მაგალითად, ოფიციალურ ვებ-საიტზე ან მონაცემთა ბაზაში). შეტყობინება აღნიშნული შეცდომის თაობაზე არ ვრცელდება.

**არსებითი შეცდომის შემთხვევაში** მისი აღმოჩენისთანავე აღნიშნული ინფორმაცია (განსაკუთრებით, თუ ეს ეხება პრეს რელიზს) უნდა მოიხსნას ვებ-საიტიდან და გასწორდეს შესაძლოდ მოკლე დროში. მის შესახებ უნდა ეცნობოს ზემდგომი რგოლის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ, აღნიშნული შეცდომის შესახებ შეატყობინებს აღმასრულებელ დირექტორს.

პრეს რელიზში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი ერთეული სასწრაფოდ ამზადებს მის სწორ ვერსიას, რომელსაც უნდა დაერთოს შეტყობინება შეცდომის გასწორების შესახებ მისი კორექტირების თარიღის მითითებით. შეტყობინება სასურველია გამოქვეყნდეს სიახლეების მთავარ გვერდზე რელიზის სწორი ვერსიის ბმულის მითითებით. თავად რელიზის სწორი ვერსია უნდა განთავსდეს იმავე მისამართზე, რომელზეც გამოქვეყნებული იყო მისი არასწორი ვერსია.

თუ ინფორმაცია გაგზავნილია მომხმარებლებთან, მათი ინფორმირება შეცდომისა და მისი სწორი ვერსიის შესახებ უნდა მოხდეს ინფორმაციის მიწოდების იგივე წყაროების გამოყენებით შესაძლოდ მოკლე ვადებში.

სტატისტიკური ინფორმაციის ბეჭდურ ვერსიაში დაშვებული შეცდომისას მას ერთვის შეცდომების გასწორების ფურცელი, ხოლო ელექტრონულ ვერსიაში გასწორება ხდება უშუალოდ პუბლიკაციაში.

თუ შეცდომა დაშვებული იყო მეტამონაცემებში, მისი გასწორება ხდება იმავე დოკუმენტში, ხოლო შეტყობინება ამ შემთხვევაშიც ცალკე სიახლის სახით ქვეყნდება დეტალების მითითებით.

## **2.5. შეცდომების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა**

ინფორმაცია შეცდომის ყველა შემთხვევის შესახებ უნდა იქნეს თავმოყრილი და გაანალიზებული. შეცდომების თავმოყრა ხდება შეცდომების რეგისტრში სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მიერ. სამმართველოს მიეწოდება ინფორმაცია კალენდარული წლის განმავლობაში დადგენილი ყველა შეცდომის შესახებ. არსებითი შეცდომის შემთხვევაში მონაცემზე პასუხისმგებელი ერთეულის ხელმძღვანელმა უნდა მიუთითოს შემდეგი დეტალები: ინფორმაციის გამოქვეყნების, შეცდომის აღმოჩენისა და მისი გასწორების თარიღები, შეცდომის სერიოზულობის ხარისხი (რომელიც განისაზღვრება მომხმარებელთა წრის მასშტაბით, საერთაშორისო მნიშვნელობით, სხვა სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშებაზე გავლენით და მისთ.), შეცდომის აღწერა, შეცდომის მიზეზი, მისი გასწორებისთვის მიღებული ზომები.

## **2.6. შეცდომების ანალიზი**

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო ყოველი კალენდარული წლის ბოლოს ამზადებს ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს სტატისტიკური ინფორმაცია შეცდომების შესახებ და მისი ანალიზი. ანგარიში განსახილველად წარედგინება ხარისხის მართვის საკითხებზე სამუშაო ჯგუფს. ანგარიშის მიზანია მომავალში მსგავსი შეცდომების თავიდან არიდება.